ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტი

ქეთი ნადიბაიძე

15.02.2023

მსურს გამოვეხმაურო თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის საჩივარს, რომლის ერთ-ერთი ადრესატი ვარ მეც, მიმდინარე წლის 4 თებერვალს, გადეცემა „შაბათის ფორმულაში“ მომზადებული რეპორტაჟის გამო. წერილობით პოზიციას ვაფიქსირებ განმცხადებლის მიერ მითითებულ ყველა სადავო საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მეხება უშუალოდ მე და ჩემს მიერ მომზადებულ რეპორტაჟს.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველ პრინციპს არღვევს ჟურნალისტი ქეთი ნადიბაიძეც, კერძოდ - გადაცემის 06:48 წუთზე ქეთი ნადიბაიძე ამბობს, რომ "სავარაუდოდ, ხიდაშელის შემდეგი გეგმა და გათვლა არის ტექნიკური უნივერსიტეტის მატერიალური თუ არამატერიალური ქონებით სარგებლობა". არ არის მოყვანილი არც ერთი ფაქტი, რაც დაადასტურებდა, რომ დავით ხიდაშელი სარგებლობს ტექნიკური უნივერსიტეტის მატერიალური თუ არამატერიალური ქონებით, ან რაში გამოიხატება ეს სურვილი.

არ მიმაჩნია, რომ გადაცემის ამ ნაწილში დავარღვიე ეთიკის ქარტიის რომელიმე პრინციპი, მათ შორის არც პირველი პრინციპი. განმცხადებელი უთითებს ჩემს სიტყვებზე (***"სავარაუდოდ, ხიდაშელის შემდეგი გეგმა და გათვლა არის ტექნიკური უნივერსიტეტის მატერიალური თუ არამატერიალური ქონებით სარგებლობა"***), რომელიც ჩემ მიერ ნათქვამი წინადადების მხოლოდ ფრაგმენტია და კონტექსტიდან არის ამოგლეჯილი, რაც სრულიად ცვლის ჩემ მიერ ამ წინადადებით გადმოცემულ აზრს. წინადადების დასაწყისში ცალსახად და გარკვევით ვამბობ რომ ეს არის იმ რესპონდენტების აზრი, რომელთა მხრიდანაც დავით ხიდაშელის მიერ

უნივერსიტეტში ფონდის შექმნის ფაქტს მწვავე რეზონანსი მოჰყვა და რომელსაც მაყურებელი რეპორტაჟში მოისმენს. ჩემ მიერ ნათქვამი სრული წინადადება: „ჩვენი რესპოდენტები ამბობენ იმას, რომ არ არის შემთხვევითი და არ არის მხოლოდ დავით ხიდაშელის დოპლომის დამსახურება (მას დამთავრებული აქვს ტექნიკური უნივერსიტეტი), რომ ხიდაშელი დაინტერესდა ტექნიკური უნივერსიტეტით და საზოგადოება მოისმენს რეპორტაჟში, რომ სავარაუდოდ, ხიდაშელის შემდეგი გეგმა და გათვლა არის ტექნიკური უნივერსიტეტის მატერიალური თუ არამატერიალური რესურსით სარგებლობა.“ აქედან გამომდინარე, არ ვიზიარებ განმცხადებლის პრეტენზიას, რომ მე დავარღვიე პროფესიული ეთიკა.

10:12 წუთზე ქეთი ნადიბაიძე აცხადებს, რომ „კარტოგრაფების საქმის ოქროს მოწმის ბიზნესმენის ვალიდან ამოსვლას რაჭის და თბილისის ძვირადღირებული ქონებების შემდეგ აგრძელებს...“

რეპორტაჟის ამ ნაწილთან დაკავშირებითაც იგივეს თქმა შემიძლია. ეს ფრაგმენტი რეპორტაჟის ტექსტის კონტექსტიდან არის ამოგლეჯილი. ეს სიტყვები ჩემი პირადი აზრი და პოზიცია არ არის. გარკვევით ვამბობ რეპორტაჟში ვის ეკუთვნის ეს აზრი, ვასახელებ რესპონდენტის ვინაობას და სტატუსს. აქვე გამოყენებული მაქვს ამ რესპონდენის ინტერვიუს ფრაგმენტიც.

ჟურნალისტური ქარტიის მე-4 მუხლი აცხადებს: “ინფორმაციის, ფოტოების ან დოკუმენტების მოპოვებისას ჟურნალისტმა მხოლოდ კეთილსინდისიერი და სამართლიანი მეთოდები უნდა გამოიყენოს“. ხოლო ქარტიის მე-10 მუხლი ადგენს, რომ

“ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი“. სიუჟეტში 07:23 და 08:29 წუთზე ჩანს, რომ უნივერსიტეტის კანცლერი მოითხოვს, რომ არ განხორციელდეს მისი ჩაწერა კამერის საშუალებით. მიუხედავად ამისა, ოპერატორი აგრძელებს გადაღებას, ხოლო ეს უნებართვოდ გადაღებული მასალა გადაიცემა ეთერში.

არ მიმაჩნია, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის კანცლერის ჩაწერის დროს და ამ მასალის ეთერში გაშვებით დავარღვიე პროფესიული ეთიკის რომელიმე პრინციპი. კარლო კოპალიანი მე და ჩემმა ოპერატორმა ჩავწერეთ და გადავიღეთ ტექნიკური უნივერსიტეტის ეზოში, სამუშაო საათების დასრულების შემდეგ (დაახლოებით, 19:00-ზე). არ შევჭრილვართ უნივერსიტეტში, მის სამუშაო სივრცეში. კანცლერის ჩაწერა და გადაღება, რომელიც არის საჯარო პირი, მოხდა ღია სივრცეში. განმცხადებელი მიუთითებს, რომ კარლო კოპალიანი ეზოში მუშაობდა, ტელეფონზე ლაპარაკობდა... არ ვიცი ის ვის ესაუბრებოდა და რას აკეთებდა, მაგრამ ასეც რომ ყოფილიყო მე მისთვის ტელეფონზე საუბარში ხელი არ შემიშლია (გასაუბრება მას შემდეგ ვცადე, რაც ტელეფონზე საუბარი დაასრულა). ამის ამსახველი სრული მასალა არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს პირველივე შეკითხვას მისი მხრიდან მოჰყვა უარი და აგრესია, შეკითხვების დასმა განვაგრძე, საკითხზე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის და კრიტიკული შეკითხვების არსებობის გამო. მას შემდეგ , რაც პასუხები ვერ მივიღე, მცდელობა შევწყვიტე. კარლო კოპალიანთან ერთად, სამუშაო საათების დასრულების შემდეგ, უნივერსიტეტიდან გამოვიდა რექტორიც, რომელთანაც ასევე ვცადე გასაუბრება . მან ჩვენს შეკითხვებს უპრობლემოდ უპასუხა. ილაპარაკა ფონდის მიზნებზე და მისი ინტერვიუ ფაქტობრივად სრულად ეთერში გავიდა. ტექნიკური

უნივერსიტეტის ეზოში, ხელმძღვანელი პირებისგან ინფორმაციის მოპოვების პროცესში, არ დამირღვევია პროფესიული ეთიკა.

იმედი მაქვს, ქარტია ამ საკითხთან დაკავშირებით არ მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელიც სახიფათო პრეცედენტი გახდება და დაადგენს სტანდარტს, რომელიც საჯარო სივრცეში საჯარო პირებისგან მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე ინფორმაციის მოპოვების პროცესში მედიისთვის ბარიერი გახდება.

რაც შეეხება ჩემი რეპორტაჟის იმ ნაწილს, რომელიც უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსს და ყოფილ მოსამართლე, თამაზ ურთმელიძეს ეხება. ვიტოვებ უფლებას არ გავამჟღავნო მასალის ავტორის ვინაობა (მასალა ჩემი გადაღებული არ არის). თუმცა სრულ პასუხისმგებლობას ვიღებ ფარულად გადაღებული მასალის ეთერში გაშვებაზე. თამაზ ურთმელიძე ბოლო პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე რეზონანსული საქმის მოსამართლე იყო, რაც მისი მისამართით არაერთი მწვავე პოლიტიკური ბრალდების მიზეზი გახდა. სასამართლოს შემდეგ, ტექნიკურ უნივერსიტეტში, ერთ-ერთ მნიშვნელოვან თანამდებობაზე გადაინაცვლა. მის კაბინეტში გადაღებული რამდენიმე წამიანი მასალა მტკიცებულებაა, რომ ის ნამდვილად ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელია. ეს მასალა არ არღვევს მისი პირადი ან სამსახურებრივი ცხოვრების საიდუმლოებას. მასალის ეთერში გაშვების საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ისევ და ისევ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე მივიღე (რომელიც არსებობს უშუალოდ თამაზ ურთმელიძის პერსონასთან, ასევე, უნივერსიტეტის ახალ ფონდთან დაკავშირებით).

საერთო ჯამში, არ ვიზიარებ კონკეტულად ჩემი მისამართით განმცხადებლის მიერ გამოთქმულ პრეტენზიებს. რეპორტაჟი არის კრიტიკული, რადგან მოიცავს ყველა იმ შეკითხვას, რომელიც ფაქტმა გააჩინა. დავით ხიდაშელის ყოველი ფინანსური გადაწყვეტილება საინტერესო და რეზონანსულია მისივე პერსონიდან, სახელმწიფოსთან

და მთავრობასთან მისი მჭიდრო თანამშრომლობიდან გამომდინარე. ის ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული საქმის მთავარი მოწმეა; არის მმართველი პარტიის დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილის ბიზნეს პარტნიორი; ბოლო წლების განმავლობაში გახდა იმ ქონებების მფლობელი, რის გამოც მწვავე ბრალდებების ადრესატია და რის გამოც, სასამართლოში სარჩელებია შესული. რამდენიმე თვის წინ, უკრაინამ დავით ხიდაშელის სანქცირებაც ითხოვა.

რაც შეეხება განმცხადებელთა სხვა პრეტენზიებს, ის არ ეხება უშუალოდ ჩემ მიერ გაჟღერებულ ინფორმაციას ან ჩემი ავტორობით მომზადებულ რეპორტაჟს.

აქვე შეგახსენებთ, რომ ტელეკომპანია „ფორმულას“ გადაცემა „შაბათის ფორმულამ“ მიმდინარე წლის, 11 თებერვლის გადაცემაში, ამ საკითხთან დაკავშირებით დაშვებული შეცდომის შესახებ განმარტება გააკეთა.

https://www.facebook.com/TVFormula/videos/1599367560468572)